



3. საყვარელიძე.

წერილი გი ცეკვა და ცეკვა კვეუნის  
პოლიტიკურ წესრიზილებაზე.

## რესპუბლიკები

1. საფრანგეთი.
2. ჩრ.-აშერიკის შ. შტატები.
3. გვარისალის.

შ. 2019-1472.

ტფილისი.  
საქართველოს მთავრობის სტამბა.

1918 წ.

# რილები სხვა და სხვა ქვეყნის ლაპი მიზიპურ წესრიგილებაზე.

შესაფილი.

საქართველო დამოუკიდებლობის აქტის  
ძალით არის დემოკრატიული რესპუბლიკა. იმ  
რას ამბობს, სხვათა შორის, ეს ისტორიული  
აქტი, რომელიც გამოცხადდა ტფილისში, სა-  
სახლის თერთ დარბაზში 1918 წელს, 26  
მაისს:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვე-  
რენულ უფლებათა მატარებელია და საქართვე-  
ლო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სა-  
ხელმწიფოა. დამოუკიდებელ საქართველოს  
პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რეს-  
პუბლიკა, საერთაშორისო ომანობაში საქა-  
რთველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.  
საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას  
სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა  
წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება  
და ამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე  
სახელმწიფოებთან და ერებთან. საქართველოს  
დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებ-  
ში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მო-  
ქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლე-

ბებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკანვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხმის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს"

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლო აქტი, რომელიც, თავისთავად ცხადია, მთავარი საფუძველი და ნიაღაგია ჩვენი მომავალი კონსტიტუციის. ჩვენ ამ წერილებში სრულიადაც არ ვთიქრობთ შევეხოთ ამ მთავარი საფუძვლის უფლებრივ-პოლიტიკურ შინაარსის მნიშვნელობას ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილებისთვის. აქ ახლა არც საქართველოს კონსტიტუციის ფორმისა და ხასიათის და არც მისი საკონსტიტუციო უფლების ძირითად კითხვების გამორკვევას შევუდგებით. მხოლოდ კარგათ დავიმახსოვროთ სამი რამ: საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი მუდმივი დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წყობილების ფორმა და მუდმივი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამ უამათ საჭიროთ მიგვაჩნია ქართველ მკითხველთ მოკლეთ გავაცნოთ სხვა და სხვ: ქვეყნების პოლიტიკური წესწყობილება და, რაღანაც ჩვენი სამშობლო რესპუბლიკანური სახელმწიფოა, ჩვენც პირველ-უოვლისა რესპუბლიკებზე შევჩერდებით და საფრანგეთიდან დავიწყებთ.

# საფრანგეთი.

საფრანგეთი წარმოადგენს ერთიან პარ-  
ლამენტარულ რესპუბლიკას.

პარლამენტარული რეჟიმი, პირველათ ინ-  
გლისში დაბადებული, საფრანგეთში შემოღ-  
ბულ იქნა რესტავრაციის დროს 1814 წ. ხარ-  
ტიით და გამტკიცდა მხოლოდ მესამე რესპუ-  
ბლიკის დროს 1875 წლის კონსტიტუციის  
მიღების შემდეგ.

საფრანგეთში საკანონმდებლო ძალა-უფ-  
ლება პარლამენტის ხელშია. ხოლო აღმასრუ-  
ლებელი ძალა-უფლება ეკუთვნის რესპუბლიკის  
პრეზიდენტს და სამინისტროს.

პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან. ერთია დეპუტატთა პალატა, მეორე სენატი. პარლამენტის ორივე განყოფილება, როგორც პალატა ისე სენატი ცალცალკე კანონმდებ-  
ლობს. მათი თანხმობა კანონმდებლობისათვის  
აუცილებელია. საკანონმდებლო ინიციატივის  
უფლება აქვს როგორც თვით პარლამენტს,  
ე. ი. პალატას და სენატს ისე პრეზიდენტს და  
მინისტრებს.

დეპუტატთა პალატას ირჩევს ხალხი სა-  
ყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრით. დე-  
პუტატებს ირჩევენ ოლქებად. 100.000 ამჩენ-  
ელზე მოდის ერთი დეპუტატი. კოლონიების  
წარმომადგენლობა, აღუირის გარდა, უდრის

ათს დეპუტატს. ეს ერთხელ და საბოლაიოდ  
განსაზღვრულია.

ამრჩეველია ყოველი პოლიტიკურათ  
სრულ-წლოვანი — 21 წლიდან — მოქალაქე, რო-  
მელიც მუდმივად ბინადრობს იმ ადგილას,  
სადაც არჩევნები ხდება, უკანასკნელი ექვსი  
თვე მაინც. საფრანგეთში ქალებს არ აქვთ  
საარჩევნო უფლება. სამხედრო პირებს თუმცა  
ისინი საარჩევნო სიში ირიცხებიან, სამსა-  
ხურის დროს საარჩევნო უფლებით სარგებ-  
ლობა არ შეუძლიათ. ყოველი მოქალაქე, თუ  
მას შესრულებია 25 წელში, შეიძლება არჩეულ  
იქნეს დეპუტატად, გარდა იმ პირთა, რომელთა  
გვარს ოუ იჯახს როდისმე უმეფია საფრან-  
გეთში. დეპუტატთა პალატა ირჩევა 4 წლის  
ვალით. პალატა ვადის გასვლის შემდეგ ერთა-  
ანად ახლდება.

სენატი უფრო კონსერვატიული დაწესე-  
ბულებაა. იგი თავიდანვე წარმოადგენდა ერთ-  
გვარ კომპრომისს ძველსა და ახალს — რესპუ-  
ბლიკანელთა და მონარქისტებს შორის. დრო-  
თა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა.  
მაგრამ ამ კომპრომისის ბეჭედი მას დღესაც  
აზის. სენატორები ირჩევიან ცხრა წლით.  
თვით სენატი კი ახლდება ყოველ სამს წე-  
ლიწადში შეოლოდ ნაწილობრივ (მესამედით).

სენატისთვის არ არსებობს საყოველთაო,  
თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლე-  
ბა. სენატორთა ასარჩევათ დეპარტამენტებში

განსაკუთრებული საარჩევნო კოლეგიები სდგება, სადაც შედიან აღვილობრივი დეპუტატები, დეპარტამენტის საბჭოს წევრები და მუნიციპალურ საბჭოთაგან არჩეული დელეგატები. აი ეს კოლეგიები ირჩევენ სენატორებს. არჩევნები სამხარისხოვანია: მოქალაქენი ირჩევენ მუნიციპალურ საბჭოს წევრთ, ისინი თავის მხრით ირჩევენ დელეგატებს, უკანასკნელნი კი ზემოხსენებულ კოლეგიებში დეპარტამენტის საბჭოს წევრებთან და აღვილობრივ დეპუტატებთან ერთად ირჩევენ სენატორებს. სასენატორო ასაკი იწყება 40 წლიდან. ოოგორც დეპუტატები ისე სენატორები იღებენ საპარლამენტო გასამრჯელოს.

პალატა და სენატი ცალ-ცალკე საკონსტიტუციო კანონებს ვერ განიხილავს. საკონსტიტუციო კანონების გადასაშინჯავათ და აგრეთვე ოესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევათ აუცილებლათ საჭიროა პარლამენტის ანუ დეპუტატთა პალატის და სენატის შეერთებული კრება. ეს არის ნაციონალური კრება, ომმეტიც არის უმაღლესი დამფუძნებელი ძალა-უფლება. ნაციონალურ კრებას თავმჯდომარეობს სენატის თავმჯდომარე. ამაში უპირატესობა სენატს აქვს დარჩენილი. ოთვე უნდა არსებობს პარლამენტარული იმუნიტეტი, დეპუტატის პიროვნების და საპარლამენტო მოქმედების ხელუხლებლობა.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ძა-

ლით რესპუბლიკა მუდმივი ფორმაა საფრანგეთის. პოლიტიკური წყობილებისა, რომლის შეცვლა ან გადასინჯვა აკრძალულია.

როგორც ვთქვით, კანონმდებლობისათვის პალატის და სენატის ოჯნებობა აუცილებელია. პირველათ დეპუტატთა პალატას უნდა წარედგინოს განსახილველათ საფრანგეთ და საბიუდუეტო კანონ-პროექტები. მათი შეცვლა სენატს არ შეუძლია. ეს არას დეპუტატთა პალატის უპირატესობა სენატის წინაშე. გარდა ამისა მხოლოდ დეპუტატთა პალატას აქცე უფლება ბრალდება წამოუყენოს და სამართალში მისცეს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები.

სამაგიეროთ სახელმწიფოებრივ მოღალატეობას და პრეზიდენტის და მინისტრების ბრალდებულებას ასამართლებს სენატი, რომელსაც ენიჭება უმაღლესი სასამართლოს დანიშნულება.

გარდა ამისა სენატის თანხმობა აუცილებელია დეპუტატთა პალატის გასაშვებათ, რისი უფლებაც აქცე კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკის პრეზიდენტს. ამ საშუალებისათვის მაკმაცონის შემდეგ არ მიუმართავს არც ერთს პრეზიდენტს. პალატის გაშვების დროს სენატი ხდება სრულუფლებოვანი ახალ პალატის არჩევამდე. იგი მაშინ არ კანონმდებლობს, მაგრამ თავის ძალა-უფლებას ხმარობს აღმასრულებელი ძალის, მთავრობის ზედამხედველობით და დახმარებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ორივე პალატის შეერთებული — ნაციონალური კრება ვერსალში (ჩვეულებრივ პარლამენტი პარიზშია). ყოფილ სამეფო გვარეულობიდან ვერავინ ვერ დაიკავებს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი. პრეზიდენტი შეიძლება ხელმეორეთ აირჩის, მაგრამ ამის მაგალითი არ ყოფილა ჯერ. იგი წარმოადგენს საფრანგეთს საერავაშორისო ურთიერთობაში. მას არა აქვა პარლამენტში დასწრების და მონაწილეობის ნება. იგი მოქმედებს მინისტრების საშუალებით და ურთიერთობას ამყარებს. პარლამენტთან დეკრეტების გამოცემის და კანონირების წირმოდგენის გზით.

ის იწვევს თუ ხურავს პალატების სესიებს, აქვეყნებს კანონებს, ნიშნავს მოხელეებს, განაცხებს სამხედრო ძელას, მართავს საგარეო საქმეებს და სხ. მას არ შეუძლია ომის და ზავის საქმე გადაწყვიტოს უპარლამენტოდ. უფლება აქვს სენატის თანხმობით გაუშვას დეპუტატთა პალატა. მას აქვს შეზღუდული ვეტო ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, უფლება აქვს მოითხოვოს პარლამენტში მიღებული კანონის ხელმეორეთ განხილვა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი უპასუხისმგებლობა პოლიტიკურათ მზგავსათ კონსტიტუციონურ მონარქისა. აქედან გამორიცხულია შემთხვევა სახელმწიფოური ღალატისა. არის თუ არა ღალატი, ამას სწყვეტს დეპოტატთა პალა-

ტა, ოომელიც ბრალს სდებს პრეზიდენტი  
უმაღლეს სასამართლოდ გაქცეულ სენატი  
წინაშე. პრეზიდენტის უპასუხისმგებლობა  
პფარავს მნისტრთა სოლიდარული პასუხისმგებ  
ლობა პარლამენტის წინაშე. პრეზიდენტის არ  
ერთს წერილობითი აქტს არ აქვს ძალა მინი  
ტრის ხელმოუწერლათ და დაუდასტურე  
ლათ.

ამნაირათ, ოოგორც ამბობენ ხოლმე, რე  
სპუბლიკის მეთაური პრეზიდენტი პრეზიდენ  
ტობს, თვითმმარეობა, მაგრამ არ მართავს  
დაახლოვებით ისე, ოოგორც ინგლისის მეფ  
მეფობს მაგრამ, არ განაგებს.

ერთმა წერალმა კი ასე დასწერა: უწინ  
დელი მეფეები მეფობდნენ და განაგებდნე  
ერთსა და იმავე დროს, ინგლისის დღევანდვ  
ლი მეფე მეფობს, ხოლო არ განაგებს. ჩრდი  
ლო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზი  
ლენტი არ მეფობს, მაგრამ განაგებს. რაც შე  
ეხება საფრანგეთის რესპუბლიკას, მისი პრე  
ზიდენტი არც მეფობს და არც განაგებსო.

საკმარისია სულ ცოტათი დაუკვირდე  
რა უფლებები აქვს საფრანგეთის რესპუბლი  
კის პრეზიდენტს, რომ ასეთი სხარტული მის  
დახასიათება შემცდარად აღიაროთ. ცხადია  
საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შედა  
რებით ნაკლები უფლება უპყრია ხელთ, ვიდრ  
ჩრ. ამერიკის შეერთებ. შტატების პრეზიდენტს,  
მაგრამ იგი ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით

პართვა-გამგეობაში, პარლამენტარულ მეფეზე  
უფრო ძლიერი და გავლენიანია, იგი ასე  
კოქათ, შვიდ წლიანი მეფეა. პრეზიდენტს  
შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მთელ  
სახელმწიფოებრივ მექანიზმის მსვლელობაზე და  
მრავალ-მხრივ შესცვალოს მთავრობის პოლი-  
ტიკის მიმართულება.

როგორ სდგება მთავრობა, სამინისტრო  
საფრანგეთში?

მინისტრები აღმასრულებელი ძალა-უფლე-  
ბის უმაღლესი წარმომადგენლებია. რესპუბლი-  
კის პრეზიდენტს ეკუთვნის მინისტრების და-  
ნიშვნა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში თავისუფა-  
ლი არ არის. მინისტრებად შეიძლება იყვნენ  
მჴოლოდ ისანი, ვინც სურს პარლამენტის უმ-  
რავლესობას.

ფაქტოურად და ჩვეულებრივი უფლების  
ძალით ასე ხდება. პრეზიდენტი საპრემიერ-  
მინისტრო კაცს, უმრავლესობის ნდობა მო-  
პოვებულს, ირჩევს და მას ანდობს მინისტრთა  
კაბინეტის შედგენას უმრავლესობიდან. ამ გზით  
შედგარ მინისტრთა სიას პრეზიდენტი ამტკი-  
ცებს და ამნაირად სდგება მინისტრთა კაბინეტი  
ანუ მთავრობა.

მინისტრთა კრება-თათბირი საზოგადოდ  
ორგვარია. ერთო მანისტრთა საბჭო რესპუბ-  
ლიკის პრეზიდენტის პირადი თავმჯდომარეობით,  
არცევს საერთო პოლიტიკის მიმართულებას.  
მეორე მინისტრთა კაბინეტის საბჭო პრემიერ-

მინისტრის თავმჯდომარეობით, სწყვეტს და  
უძლვება მიმღინარე საკითხებს.

მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარ-  
ლამენტის წინაშე. ეს არის პოლიტიკური პა-  
სუხისმგებლობა, რომელიც იწვევს სამინის-  
ტროს გადადგომას, უკეთუ მას პარლამენტის  
უმრავლესობის ნდობა დაეკარგა. აქ მოქმედებს  
პოლიტიკურად მხოლოდ დეპუტატთა პალა-  
ტის უმრავლესობა და მისი ნდობა-უნდობლობა.  
მთავრობის საკითხში ფაქტიურად მხოლოდ  
პირველ პალატას აქვს გადამწყვეტი მნიშვნე-  
ლობა, სენატი არაფერ შეუშია. პარლამენტა-  
რული პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სო-  
ლიდარული და ინდივიდუალური ანუ პიროვ-  
ნული. სოლიდარული პასუხისმგებლობა არის,  
როცა უარყოფილი და დაწუნებულია მთელი  
სამინისტროს საერთო ხოლიტიკა, მაშინ იბა-  
დება სამინისტრო კრიზისი. ამ შემთხვევაში  
ყველა მინისტრი, მთელი კაბინეტი უნდა გა-  
დადგეს. პიროვნული პასუხისმგებლობა კი  
ეხდა კერძოდ ამა თუ იმ მინისტრს და მის  
მოქმედებას. მაგრამ აქაც პიროვნულს ჰფარავს  
სოლიდარული პასუხისმგებლობა, როცა მი-  
ნისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე თავის მი-  
ნისტრს ესარჩლება პარლამენტის წინაშე და  
ჰფარავს მის მოქმედებას.

თავის თავად ცხადია, რომ პოლიტიკურ  
პასუხისმგებლობის გარდა არსებობს მინისტრთა  
სისხლის სამართლის და სამოქალაქო პასუხის-

მგებლობა. მათ ასამართლებს სენატი სახელმწიფო ლალატის და სხვა მძიმე ბრალდების დროს. სხვა საქმეში მათი გასამართლება შეუძლიათ აგრეთვე ჩვეულებრივ სასამართლოებს.

მინისტრები მონაწილეობენ პარლამენტში, იცავენ მთავრობის კანონ-პროექტებს, პასუხსაღებო დასმულ კითხვებს და შეკითხვებს (ინტერპელაციებს) და სხ.

უფლობათა დაყოფა, როგორც ეს ამერიკაშია, საფრანგეთის სახელმწიფო უფლებამ არ იცის. აქ უფრო უფლობათა შერევას აქვს ადგილი.

კანონმდებლობითი შემოქმედებაში მონაწილეობას იღებს აღმასრულებელი ძალა, პარლამენტში მინისტრები მუშაობენ, შეაქვთ კანონ-პროექტები და სხ.

მეორე მხრით პარლამენტს არ აქვს შემოზღუდული თავისი მოღვაწეობა მხოლოდ კანონმდებლობით. იგი ერევა აღმასრულებელ ძალა-უფლების კომიტენტიაშიაც. მას აქვს უფლება კანტროლის და გასამართლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და თვით პრეზიდენტის მიმართაც. კანტროლს მთავრობის მიმართ პარლამენტი ანხორციელებს ოთხი საშუალებით. ეს არის კითხვა, შეკითხვა ანუ ინტერპელაცია, საპარლამენტო ანკეტა და მინისტრთა განცხადებანი. ამგვარათ საფრანგეთის რესპუბლიკაში ჩვენ გვაქვს საქმე უფლობათა

ურთიერთულ შეზღუდვასა და ურთიერთულ  
დამოკიდებულებასთან.

არის საფრანგეთში აგრეთვე ძველი პო-  
ლიტიკური დაწესებულება, რომელსაც უმთავ-  
რესად აღმინისტრატიულ-სამოსამართლო სფე-  
როში აქვს მნიშვნელობა და ხანდახან კანონ-  
პროექტების და განკარგულებათა გამოცემის  
საქმეში რჩევითი, სათათბირო ხასიათი ეძლევა.  
ეს არის სახელმწიფო საბჭო, შემდგარი პრე-  
ზიდენტის მიერ დანიშნულ გამოცდილ პირ-  
თაგან.

მართლმსაჯულება საჯაროა და მუქო.  
მოსამართლებს სახელმწიფო ნიშნავს. მათ აკ-  
ლიათ დამოუკიდებლობა. არსებობს საანგარი-  
შო პალატა სახელმწიფურ ფინანსთა საკონტ-  
როლოდ.

საფრანგეთი მეტად ცენტრალისტური სა-  
ხელმწიფოა. ამიტომ იქ ადგილობრივი თვით-  
მართველობა და თითმოქმედება ძალზე შებო-  
ჭვილია. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მიუ-  
ხედავად რესპუბლიკანურ წესწყობილებისა მო-  
ქალაქობრივი თავისუფლება უფრო შეზღუ-  
დულია საფრანგეთში, ვიდრე ინგლისში. და  
თუმცა იქ კანონები შედარებით კარგია, მათი  
კარგად შესრულების საქმე მოიკოჭლებს და  
აღმინისტრატიულ თვითნებობას სახელმწიფურ  
მართვა-გამგეობაში საპატიო ადგილი უკავია.

საფრანგეთში რესპუბლიკა. მაგრამ ამ  
რესპუბლიკაში ყველაფერი დემოკრატიულად

არ არის მოწყობილი. ხალხის პოლიტიკური ბატონობა იქ სრული არ არის. იგია ტიპი ეგ-რედ წოდებულ ბურუჟაზიულ რესპუბლიკის. იგი, როგორც თავში ვთქვით, ცენტრალის-ტური პარლამენტარული რესპუბლიკა.

ეხლა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების რესპუბლიკაზე.

## ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატები.

თუ საფრანგეთი უნიტარულ პარლამენტარულ რესპუბლიკას წარმოადგენს, ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატები არის ფედერატიული ანუ საკავშირო დემოკრატიული რესპუბლიკა. თუ პირველი სადა, ერთიანი ცენტრალისტური სახელმწიფოა, მეორე წარმოადგენს რთულ, დეცენტრალისტურ სახელმწიფოს, რომელიც შესდგება მრავალ ავტონომიურ შტატებისა თუ, შინაურ ცხოვრებაში სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან.

თვითებული ამ შტატთაგანი შეიცავს რესპუბლიკას და ემყარება დემოკრატიულ კონსტიტუციას, რომელსაც იმუშავებს საგანგებო დამფუძნებელი კრება ანუ კონვენტი და ამტკიცებს სახალხო პლებისციტი. ყველგან შემადგენელ შტატებში დემოკრატიული სული ბატონობს და ხალხის თაოსნობას და თავი-

სუფლებას აქვს დათმობილი ბურთი და მოე-  
დანა.

ამ ნაირათ ჩრ. ამერიკის შ. შტატები  
სახელმწიფოთა სახელმწიფოა, რესპუბლიკათა  
რესპუბლიკა, რომელიც ფედერალური კავში-  
რით არის გაერთიანებული და გამტკიცე-  
ბული.

ჩვენ ცალკე შემადგენელ შტატების პო-  
ლიტიკურ წყობილებას მხოლოდ გაკვრით შე-  
ვეხებით და უზავრესათ გადავავლებთ თვა-  
ლს საერთო საკავშირო სახელმწიფოს რეს-  
პუბლიკანურ კონსტიტუციას.

საფრანგეთის კონსტიტუციას ძალა-უფლების  
ანუ უფლობათა შერევა უდევს საფუძვლათ.  
სამაგიეროთ შ. შტატების კონსტიტუცია ემ-  
ყარება უფლობათა დაყოფის ანუ განაწევრების  
პრინციპს. ამ სისტემის დამახასიათებელია ძა-  
ლა-უფლების შტოების შეთანხმება, უფლო-  
ბათა კოორდინაცია და არა მათი ერთი მეო-  
რისგან დამოკიდებულება, მათი სუბორდინაცია.

აბა დაუკვირდით.

უფლობათა დაყოფის სისტემა, რომელ-  
საც ბევრი ამერიკულ სისტემას უწოდებს, გუ-  
ლისხმობს პირდაპირ მთავრობას, აღმასრულე-  
ბელი ძალის დამოუკიდებლობას საკანონმდებ-  
ლო უფლობისგან. ეს სისტემა პარლამენტარიზ-  
მის უარისმყოფელია.

აქ აღმასრულებელი ძალა-უფლების უმაღ-  
ლესი წარმომადგენელი, სახელმწიფოს მეთაური,

რესპუბლიკის პრეზიდენტი ხალხისაგან ირჩევა  
და აღჭურვილია მეტათ ფართე უფლებებით  
პარლამენტის დამოუკიდებლათ. ის თავის სურ-  
ვილისამებრ ირჩევს მინისტრებს, რომელნიც  
ავრეთვე დამოუკიდებელი არიან პარლამენტი-  
სგან. ისინი პასუხს აგებენ მხოლოდ პრეზიდენ-  
ტის წინაშე. პარლამენტი აქ არ ერევა სახელ-  
მწიფურ მართვა-გამგეობაში. ძალა საკანონ-  
მდებლო და ძალა აღმასრულებელი ერთი მე-  
ორისაგან განცალკევებული და დამოუკიდებე-  
ლია. ამერიკის დიდი რესპუბლიკაში შესა-  
ძლებელია სამინისტრო თავის აღვილზე დარჩეს,  
პარლამენტი კიდეც რომ იწუნებდეს და მტრო-  
ბდეს მის პოლიტიკას.

როგორ ირჩევა შეერ. შტ. რესპუბლიკის  
პრეზიდენტი?

მას ირჩევს მთელი ფედერატიულ რესპუ-  
ბლიკის ხალხი ორსართულიან საარჩევნო წე-  
სით. კენჭისყრა საყოველთა, შაგრამ პირდა-  
პირი არ არის. მოქალაქენი ირჩევენ ამრჩე-  
ლებს, უკანასკნელნი თავის მხრით ირჩევენ  
რესპუბლიკის პრეზიდენტს.

ამ გვარათვე ირჩევენ რესპუბლიკის  
ვიცე--პრეზიდენტს. პრეზიდენტს და ვი-  
ცე--პრეზიდენტს ირჩევენ ერთსა და იმა-  
ვე დროს და ერთნაირი ვადით—ოთხი წლით.  
ბარემახლავე ვთქვათ, რომ ფედერაციის ვიცე-  
პრეზიდენტი არის იმავე დროს სენატის თავ-  
მჯდომარე. მისი თანამდებობა სწორეთ ამაში

მდგომარეობს. მხოლოდ ვინიცობაა გარდაი-  
ცვალა პრეზიდენტი, მის ადგილს იჭერს ვიცე-  
პრეზიდენტი. აღმასრულებელ ძალა-უფლებას  
ფაქტიურათ ვიცე-პრეზიდენტი არ ეკუთვნის.  
ის, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურათ სრუ-  
ლიად უვნებელი პიროვნებაა. შეიძლება რეს-  
პუბლიკის პრეზიდენტმა მას მთელ სათანამდებო  
ვადის განმავლობაში ერთხელაც არ მიმართოს  
რჩევისთვის.

პრეზიდენტი ვადის გასვლამდე გამოუ-  
ცვლელია, გადაუყონებელია. მისი ვადაყენება)  
შეიძლება მხოლოდ სენატის სამართლის განა-  
ჩენით სახელმწიფური ღალატის და სხვა მნი-  
შვნელოვან დანაშაულის დამტკიცების დროს.  
ჩვეულებითი უფლების ძალია აკრძალულია  
პრეზიდენტათ ერთისა და იმავე პირის შესამედ  
არჩევა. იგი გაცილებით უფრო მეტი უფლე-  
ბით არის. აღჭურვილი, ვიდრე საფრანგეთის  
რესპუბლიკის პრეზიდენტი. ის აღმასრულებელი  
უფლების სიფართოვით და ძალით ბევრ კონ-  
სტიტუციონურ მეფეებზე უძლიერესია. მასაც  
ვადით არჩეულ მეფეს ეძახიან ზოგიერთები.  
მის ხელთ არის მთელი მარტვა-გამგეობა რო-  
გორც საშინაო ისე საგარეო საკითხებში. ის  
მართავს—გამგებლობს. თავის დანიშნულ და  
თავის წინაშე პასუხისმგებელ მინისტრების სა-  
შვალებით. ის ნიშნავს და ითხოვს მთელი ფე-  
დერაციის ყველა მოხელეს. ბევრ კითხვებში,  
მაგალ. ხელშეკრულება, ელჩთა დანიშნა, უმა-

ღლესი სამსჯავროს წევრთა არჩევა და სხ. აუცილებელია სენატის თანხმობა. პრეზიდენტი განაგებს ჯარს და ფლოტს.

მას შეუძლია შეაჩეროს ის კანონპროექტები, რომელიც არ მოსწონს. მას აქვს აგრეთვე შემჩერებელი ვეტოს უფლება: ამა თუ იმ კანონის მიღების შემდეგ ათი დღის განმავლობაში მას შეუძლია აცნობოს პარლამენტს, რომ ხელს არ მოაწერს მას; მაშინ კანონი უთუოთ ხელახლა უნდა გავიდეს პარლამენტის (კონგრესის) ორივე პალატაში ხმათა  $\frac{2}{3}$ , უმეტესობით და მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ნამდვილ კანონად და საკალდებულოდ პრეზიდენტის წინააღმდეგაც. ჩვეულებრივ კი კანონი ძალაში შედის თუ მას ათს დღეში პრეზიდენტი არ გამოეხმაურა თავის ვეტოთი.

პრეზიდენტის ვეტოს უფლება საკანონმდებლო უფლებად არ ითვლება. ამ მხრით პრეზიდენტი უფრო გარეშე ძალაა, რომელიც პროფ. ოლსტონის სიტყვით თავის ნება-სურვილის თანახმად ერევა საკანონმდებლო საქმეში. პრეზიდენტს ხანდახან, თუ დიდი და გადაუდებელი საჭიროება თხოულობს განსაკუთრებით ომიანობის და საშიშროების დროს, შეუძლია უპარლამენტოთ გამოსცეს განკარგულების სახით ზოგიერთი საკანონმდებლო ხისიათის აქტიც. ასეთ მომენტში პრეზიდენტის ძალა-უფლება ძალიან იზრდება. იგი ხდება დიქტატორული ძალით აღჭურვილი,

რომელსაც ყველა და ყოველივე ემორჩილება.

პრეზიდენტს კანონის შეჩერების უფლების გარდა არავითარი გავლენა და პირტაპირი კავშირი არ აქვს კანონმდებლობასთან. არც პრეზიდენტი და არც მისი მინისტრები, ე. ი. მთავრობა პარლამენტში არავითარ მონაწილებას არ იღებენ, ისინი არც ესწრებიან მის სხდომებს. მხოლოდ სესიის დაწყებისას ყოველწლიურათ პრეზიდენტი კონვენცის (პარლამენტს) უგზავნის სახელმწიფოს პოლიტიკური მდგრამარეობის აღწერილობას, ეპისტოლებს, სადაც ამა თუ იმ სასურველი ცვლილების საჭიროებაც არის ხოლმე აღნიშნული. ამ ეპისტოლებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ კანონმდებლებზე რაიმე განსაკუთრებულ გავლენას ვერ ახდენს. მინისტრებიც წერილობით უგზავნიან ყოველგვარ ცნობებს და წერილობითვე იძლევიან ყოველ გვარ განმარტებებს, რომელსაც საჭიროებს და მოითხოვს პარლამენტი.

როგორც იცით უკვე, კაბინეტის წევრები ანუ მინისტრები პასუხისმგებლები არიან პირადათ პრეზიდენტის წინაშე, რადგან პირადათ მისგანვე ინიშნებიან. პარლამენტის ნდობა-უნდობლობის გამოცხადება არ არსებობს და მინისტრთა კაბინეტს მაინც და მაინც არც აინტერესებს პარლამენტი მოიწონებს თუ დაიწუნებს მის პოლიტიკას.

ახლა ვნახოთ ორგორ არის . მოწყობილი  
შეერთებული შტატების ფედერალური კანონ-  
მდებლობითი ორგანოების საქმე.

საკანონმდებლო ძალა-უფლება ეკუთვნის  
კონგრესს. ეს არის ფედერალური პარლამენ-  
ტი, ორმელიც შესდგება ორი პალატისაგან:  
სენატი და წარმომადგენელთა პალატა.

პალატა წარმომადგენს პირდაპირ ხალხს,  
რომელიც დემოკრატიულათ ირჩევს მას ორი  
წლის ვადით. არჩევნების წესების შემუშავება  
მინდობილი აქვს ცალკე შტატებს. ფედერა-  
ლური კონსტიტუციით ქალებს უფლება არ  
აქვს. მხოლოდ ზოგიერთ შტატში, ორგორც  
კოლოროდო, უტა და სხ. ქალებმა უკვე მოი-  
პოვეს საარჩევნო უფლება.

რაც შეეხება სენატორებს, მათ ირჩევს ექვ-  
სი წლის ვადით შემადგენელ შტატების პარ-  
ლამენტები ანუ საკანონმდებლო კრებები. თი-  
თოეული შტატი მიუხედავათ მცხოვრებთა რა-  
ოდენობისა აგზავნის ორ სენატორს. ამაში  
სრული თანასწორობაა დაცული. სენატს ად-  
მინისტრატიულ სფეროში განსაკუთრებული  
უფლებანი აქვს. ეს ეხება უმთავრესათ ფედე-  
რალურ სათანამდებო პირთა დანიშვნის და  
საერთაშორისო ხელშეკრულობათა დამტკი-  
ცების თანხმობას და დასტურს.

ორივე პალატა-სენატი და წარმომადგენელ-  
თა პალატა თანასწორათ სარგებლობენ საკა-  
ნონმდებლო უფლებით. მხოლოდ საფინანსო

კანონპროექტები უთუოდ უნდა გამოდიოდეს  
 წარმომადგენელთა პალატიდან. მაგრამ სენატი  
 ამ მხრით ისე უფლებობო არ არის, ოფორტუ  
 საფრანგეთში: პალატიდან შემოსულ საფინან-  
 სო კ ნონპროექტებს თუ მოისურვა, ის სცვ-  
 ლის, ასწორებს მაშინ, ოდღესაც საფრანგე-  
 თის სენატს ამის უფლება არ აქვს. სენატი  
 ასრულებს აგრეთვე უმაღლესი სამსჯავროს  
 ფუნქციას, ოფიციალურ ექიმება დიდი. თანამდე-  
 ბობის პირთა სახელმწიფურ დანაშაულს, იგია  
 უმაღლესი სამოსამართლო ინსტანცია პრეზი-  
 დენტის, ვიცე-პრეზიდენტის, მინისტრების,  
 ფედერალურ სასამართლოს წევრთა და სხ.  
 გასამართლებლათ. მათ აძლევს სამართალში  
 მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა.

სენატი და პალატა ერთად შეიქვს ჩრ.-  
 ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესს,  
 ფედერალურ პარლამენტს; ომედლიც წარმოა-  
 დგენს უმაღლეს საკანონმდებლო ძალა-უფ-  
 ლებას. მას ეკუთვნის ომის და ზავის საქმე.

ფედერალურ ურთიერთობაში კონგრე-  
 სის მიერ მიღებულ კანონთათვის ხალხის დას-  
 ტურის მიცემას, ოფენტენდუმს და ინიცია-  
 ტივას არ აქვს აღვილი. ეს ხალხური უფლე-  
 ბები არსებობს მხოლოდ ფედერაციის, ანუ  
 კავშირის ზოგიერთს შემადგენელ რესპული-  
 კაში.

ოფორტუ ვთქვით, შ. შტატების ოეს-  
 პუბლიკის კონსტიტუცია უფლობათა განაწი-

ლებას ემყარება. მაგრამ შეამჩნევდით; რომ  
აბსოლიუტურათ ამ პრინციპის გატარება სა-  
ხელმწიფოებრივ ცხოვრებაში ყოვლად შეუძ-  
ლებელია. ამიტომ თეორიულათ ადვილი წარ-  
მოსადგენი, იგი პრაქტიკულათ საფსებით ვერ  
ხორციელდება. ზოგ ზემთხვევაში აუცილე-  
ბელია პირდაპირი ურთიერთობა-დამოკიდებუ-  
ლება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძა-  
ლას შუა. ასეთ აუცილებელ ურთიერთობას  
იწვევს უმთავრესათ ბიუჯეტის საკითხი.

მთავრობას ფული ესაჭიროება. ხოლო  
საფინანსო საკონსები, გადასახადების აკრეფა,  
საერთოთ შემოსავლის წყაროები ეკითხება  
ხალხის წარმომადგენლობას, პარლამენტს. ამი-  
ტომ უკანასკნელი ხელში იჭერს მთავრობას,  
რომელიც ძალა-უნებურ დამოკიდებულებაში  
ვარდება პირველისგან. საბიუჯეტო უფლება  
უძლიერესი იარაღია პარლამენტის ხელში  
მთავრობის დასამორჩილებლათ. ამისთვის ბუ-  
ნებრივია საგანგებო საფინანსო კომისიის  
შედგენა, რაც მჭიდროთ აკავშირებს პარლა-  
მენტს და მინისტრებს და რახაც დიდი გავ-  
ლენა აქვს მთავრობაზე.

1787 წლის კონსტიტუციის შესავალი  
ამბობს:

„ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი,  
ვცემთ და ვამტკიცებთ ამ კონსტიტუციის ამე-  
რიკის შეერთებულ შტატებისათვის, რათა  
შევქმნათ უფრო სრული კავშირი, გავამტკი-

ცოთ მართლმსაჯულება, უზრუნველვყოთ, შინაური მშეიდობიანობა და საერთო უშიშროება, გავაძლიეროთ საყოველთაო კეთილდღეობა და უზრუნველვყოთ, ოოფორც ჩვენთვის ისე ჩვენი შთამომავლობისათვის თავისუფლების მადლი და სიკეთენი“.

ამ ნაირათ დაარსდა მრავალ შტატისგან საკავშირო ანუ ფედერატიული სახელმწიფო, შეერთებული შტატების სახელწოდებით, ომშელიც თავის პოლიტიკურ წყობილებით წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

იგივე დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წესწყობილება არსებობს, ოოფორც იოქვა, კავშირის შემადგენელ სახელმწიფოებრივ ნაწილებში ანუ შტატებში. ისინი არ წარმოადგენენ სულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, მათი უფლება და ხელმწიფება შეზღუდულია ფედერალური კონსტიტუციით, ომლის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ. მაგრამ შინაურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ისინი დამოუკიდებელნი და თავისუფალნი არიან.

შეერთებული შტატების კონსტიტუციას უზრუნველყოფს ყოველი შტატის მართვა გამგეობის რესპუბლიკანურ ფორმას, იცავს გარეშე მტრის თავდასხმისაგან და ყოველნაირ შინაგან ძალმომრებობისაგან.

შეერთებული შტატების ფედერატიულ რესპუბლიკაში შედის ორმოცდა ათამდე ავტონომიური. შტატი. ყველგან თავის კანონმდებ-

ლობაა. თვითმართველობა უმწვერვალესათ არის განვითარებული. გაბატონაბულია პოლიტიკური თანასწორობა და დემოკრატიზმი. არ არის წოდებრივი განსხვავება. ეკლესია და სახელმწიფო უკელვან გაშორიშორაბულია ერთი-ერთმანეთისაგან, შტატების უმეტეს ნაწილში როგორც მთავრობის პირნი, ისე მოსამართლენი და სხვა თანამდებობის ამსრულებელნი, გარდა დაბალ მოხელეებისა, პირდაპირ ხალხისაგან ირჩევიან. შემთხვევაში მათი გადაყენების უფლება მიკუთნებული აქვს აღმასრულებელ ძალა-უფლების ორგანოს და მის მეთაურს. კონგრესი და ფედერალური მთავრობა იმყოფება ვაშინგტონში.

როგორ გადაიშინჯება ფედერალური კონსტიტუცია?

კონსტიტუციის ცვლილების მოსახლენათ წინადადება შეაქვს თვით კონგრესს, თუ ორივე პალატის წევრთა ორი მესამედი ამის თანხმობას აცხადებს; აგრეთვე შტატების დიდი უმრავლესობის საკანონმდებლო კრებათა (პარლამენტთა) მოთხოვნით კონგრესი იწვევს კონვენტს კონსტიტუციაში ცვლილების შესატანათ. მაგრამ ორივე შემთხვევაში ამ საკონსტიტუციო ცვლილებას ძალა ეძლევა მხოლოდ შტატების საკანონმდებლო კრებათა თუ კონვენტთა დამტკიცების და დადასტურების შემდეგ.

რაც შეეხება თვით შტატების კონსტი-

ტუციათა გადაშინჯვის კითხვას, იგი ყველგან  
ერთნაირათ არ წყდება. მაგრამ თითქმის ყველ-  
გან, ყველა შტატში კონსტიტუციაში შეტა-  
ნილ ყოველ ცვლილებას საბოლოოთ მხო-  
ლოდ ხალხი ამტკიცებს რეფერენდუმის საშვა-  
ლებით.

ასეთია მოკლეთ ჩრ.-მერიკის შ. შტა-  
ტების დემოკრატიული რესპუბლიკა. იგი არის  
უფლობა-განაწევრებული დემოკრატია, რაც  
საგრძნობლათ განირჩევა პარლამენტარულ  
დემოკრატიისაგან, რომლის მიმზგავსება შეიძ-  
ლება საფრანგეთის რესპუბლიკანურ პარლამენ-  
ტარიზმის მაგალითში დაინახოთ.

ამის შემდეგ გადავიდეთ დემოკრატიის  
ისტორიულ ქვეყანაში — შვეიცარიაში.

## შვეიცარია.

შვეიცარია კლასიკური ქვეყანაა დემოკ-  
რატიის და თავისუფლების. იგი ფედერატიუ-  
ლი სახელმწიფოა და დამყარებულია დემოკ-  
რატიულ-რესპუბლიკანურ წყობალებაზე.

შვეიცარია წინათ კონფედერაცია იყო.  
ახლა იგი ფედერაციაა, ფედერატიული სა-  
ხელმწიფოა, მაგრამ ძველი სახელი კონფედე-  
რაციისა დღესაც შერჩა, თუმცა იგი აღარ  
შეეფერება მისი სახელშითოებრივობის პოლი-  
ტიკურ შინაარსს.

შვეიცარიის ფედერალური კონსტიტუ-  
ციის პირველი მუხლი აღიარებს, რომ შვეი-  
ცარიის 22 კანტონი აღენს შვეიცარიის კონ-  
ფედერაციას, რომლის მიზანია საერთო სამ-  
შობლოს უზრუნველყოფა; მშვიდობისანობის  
და მოკავშირე ხალხთა (confédérés) უფლებების  
დაცვა და საყოველთაო კეთილდღეობის ზრდა.

უნდა ითქვას, რომ სამი კანტონი გა-  
ყოფილია ნახევარ კანტონებად, რომელნიც  
თითქმის ყველაფრამდის სრულ კანტონებს  
უდრიან უფლებით და სახელმწიფო წყობი-  
ლებით. ამ ნაირათ ნამდვილათ შვეიცარია 19  
სრულ კანტონს და 6 ნახევარ კანტონს, სულ  
26 ავტონომიურ ერთეულს შეიცავს.

კანტონები დამოუკიდებელი და სუვე-  
რენული, უფლობამოსილნი არიან იმდენათ,  
რამდენათ მათი დამოუკიდებლობა და უფლო-  
ბამოსილება შეზღუდული არ არის კონფედე-  
რაციის კონსტიტუციის ძალით. შინაურ ცხო-  
ვრებაში ესინი თავისუფალნი არიან, წარმოა-  
დგენენ სახელმწიფოთ, რომელთა ზოგიერთი  
უფლებანი (საერთაშორისო პოლიტიკა, ომი  
და ზავი, ჯარი, ფული, საბაჟო და სხ.) გა-  
დაცემულია კონფედერაციაზე.

ფედერალური კონსტიტუცია უზრუნველ-  
ყოფს კანტონთა ხელუხლებლობას, მათ ავ-  
ტონომ ას, მათ კონსტიტუციებს იმ პირობით  
კი, რომ ამ კონსტიტუციებში კონფედერა-  
ციის საწინააღმდეგო არაფერი იქნეს, რომ

კანტონებში ყველგან რესპუბლიკანურ წარმომადგენლობითი ან პირდაპირ დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება არსებობდეს და კანტონთა კონსტიტუციები პირდაპირ ხალხის მიერ იქნეს მიღებული და გადაშინჯული.

ამ ნაირათ შვეიცარია პატარა დემოკრატიულ რესპუბლიკათა დემოკრატიულ-ფედერატიულ კავშირს წარმოადგენს. თავის მხრივ რესპუბლიკანური კანტონები შესდგებიან პატარ-პატარა ავტონომიურ ერთეულებისაგან, კომუნებისაგან და ამ გვარათ ბადებენ თავის დემოკრატიული სხვადასხვაობით, სირთულით და მრავალგვარობით საუცხოვო სანახაობას.

შვეიცარიის დემოკრატია ისტორიული და ტრადიციული დემოკრატიაა. სამოქალაქო თავისუფლება არსად არ არის ისე განვითარებული, როგორც შვეიცარიაში. უნდა აღინიშნოს, სხვათა შორის, ერთი დიდი ნაკლი შვეიცარიის თავისუფლების და დემოკრატიის. ეს ის, რომ ქალები მოკლებულნი არიან პოლიტიკურ უფლებებს, როგორც ფედელარულ სფეროში ისე კანტონალურ რესპუბლიკებში.

შვეიცარია პოლიტიკურათ და კონსტიტუციონურათ კანტონთა სახელმწიფოებრივი კავშირია, ფედერატიული სახელმწიფოებრივიაა, მაგრამ ფაქტიურათ ის ამავე დროს

ერთა კავშირიც არის. შვეიცარია უმთავრესათ  
დასახლებულია გერმანელებით, ფრანგებით და  
იტალიელებით. არის გერმანული კანტონები  
—დიდი უმეტესობა, არის ფრანგული კანტო-  
ნები, ასეთი სამია და არის ერთი იტალიური  
კანტონი. ამბობენ ხოლმე გერმანული შვეი-  
ცარია, ფრანგული შვეიცარია, იტალიური  
შვეიცარია. გარდა ამ ერთენოვან კანტონე-  
ბისა, არის ეგრეთწოდებული შერეული, ორ  
და სამენოვანი კანტონები. შვეიცარიაში არის  
ერთი მცირებულებული ხალხი კელტური მო-  
დგმისა, რომანულები თუ რომანელები, ეს  
ხალხი ცხოვრობს გრიზონის კანტონში. ამ  
კანტონალურ რესპუბლიკაში იგი სახელმწი-  
ფოებრივი ერია, მისი ენა სახელმწიფოებრივი  
ენაა. ხოლო მას არ აქვს კონფედერალური  
მნიშვნელობა. ფედერალური კონსტიტუციის  
ძალით მხოლოდ სამი ენა — გერმანული, ფრან-  
გული და იტალიური — არის აღიარებული სა-  
კონსტიტუციო, ნაციონალურ ენებად. იგი  
სავალდებულოა კონფედ. ყველა სახელმწ. და-  
წესებულებაში პარლამენტიდან დაწყებული  
ფოსტამდის.

ნაციონალური შულლი და ბრძოლა, რო-  
გორც ეს სხვა მრავალეროვან სახელმწიფოე-  
ბშია, შვეიცარიაში არ არის. მხოლოდ ნაციო-  
ნალური შეჯიბრება, მეტოქეობა, კულტურა-  
თა ჭიდილი ძალიან დიდია. პოლიტიკური  
წესწყობილების ღრმა დემოკრატიზმი და ჭე-

დერატიული ურთიერთობა უზრუნველყოფს  
შვეიცარიას ეროვნული ბრძოლის გალვივები-  
საგან.

მიუხედავათ ეროვნულ და კანტონალურ  
სხვადასხვავობისა შვეიცარია მაინც ერთი წიე-  
ლი პოლიტიკური, თუმც ფედერატიული ერ-  
თეულია. შვეიცარიელი, ვინც უნდა იყოს  
იგი—გერმანელი, ფრანგი თუ იტალიელი  
დიდი მოყვარულია თავის საერთო სამშობლო-  
ისა. მის გულში ღვივის ორმაგი პატრიოტი-  
ზმი—ფედერალური ანუ შვეიცარიული და  
კანტონალური.

შვეიცარიის კონფედერაციაში არსებობს  
წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო.  
ეს არის ფედერალური კრება, რომელსაც შეა-  
დგენს ორი პალატა: ნაციონალური საბჭო და  
სახელმწიფოთა (კანტონთა) საბჭო. ეს არის  
პარლამენტი, რომლის საკანონმდებლო უფლე-  
ბა შეზღუდულია ხალხის მიერ. უკანასკნელი  
კანონმდებლობაში პირდაპირ მონაწილეობას  
ღებულობს რეფერენდუმის და ინიციატივის  
საშვალებით.

ნაციონალურ საბჭოს ირჩევს სამი წლის  
ვალით მთელი შვეიცარიის ხარხი, მთლიანათ  
აღებული, საყოველთაო, პირდაპირი, თანას-  
წორი და ფარული კენჭის ყრით. ამასთანავე  
შვეიცარიაში ყველგან არჩევნების პროპორ-  
ციული სისტემაა გამეფებული. ყოველი შვეი-  
ცარიელი მოქალაქე, მამრობითი სქესის, პო-

ლიტიკურათ სრულწლოვანი (20 წელი) ამჩ-  
ჩეველია და შეუძლია არჩეულ იქნას. პასულ  
საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან სასუ-  
ლიერო პირები. სამღვდელოება ირჩევს, მაგ-  
რამ თვითონ არ ირჩევა პარლამენტში. ეს  
კლერიკალიზმის საწინააღმდეგო ზომაა. 20000  
მცხოვრებზე მოდის ერთი დეპუტატი, ყოველ  
შემთხვევაში თვითეულ კანტონს და ნახევარ  
კანტონს უფლება აქვს ერთი დეპუტატი მაინც  
იყოლიოს. ამ პალატის გაშვების უფლება  
არავის აქვს. იგი ახლდება ერთიანათ ვადის.  
განვლისას.

სახელმწიფოთა (ანუ კანტონთა) საბჭო  
წარმოადგენს კანტონებს, როგორც ასეთებს.  
აქ ყოველი კანტონი თანასწორათ აგზავნის  
ორ-ორ წარმომადგენელს, რაც სულ შეად-  
გენს 44 წარმომადგენელს. ჩახევარი კანტონი  
ერთს აგზავნის. ამაში მდგომარეობს მისი გან-  
სხვავება კანტონისაგან. მათი არჩევნების წე-  
სებს და ოწმუნებულების ვადას საზღვრავენ  
თვით კანტონები. უნდა ითქვას, რომ კან-  
ტონთა წარმომადგენლებს იმპერატიული,  
საფალდებულო ინსტრუქციები არ აქვთ. სა-  
პარლამენტო გასამსჯელოს იღებენ დეპუტა-  
ტები.

ნაციონალური საბჭო და კანტონთა საბ-  
ჭო ჩვეულებრივ ცალკე-ლკე კანონმდებლობს.  
კანონპროექტები ორივე საბჭოში უნდა გა-  
ტარდეს. მათი გაკანონებისთვის და ძალაში

შესასვლელით აუცილებლათ საჭიროა ორივე საბჭოს თანხმობა. ისინი ულებრივათ სრულიად თანასწორნი არიან. ფაქტიურათ კი უპირატესობა ეძლევა ნაციონალურ საბჭოს, უფრო მრავალრიცხოვანს და პირდაპირ მთელი შევიცარიის ხალხის მიერ არჩეულს.

ყოველი კანონი პარლამენტში მიღებული აუცილებლათ ხალხს უნდა გადაეცეს დასადასტურებლათ, სარეფერენდუმოთ (ხალხმა ან „კი“ უნდა თქვას ან „არა“, ან მოიწონოს ან უარყოს), თუ ამას მოითხოვს 30,000 მოქალაქე ან 8 კანტონი. ამას ეწოდება ფაკულტატიური, არა სავალდებულო რეფერენდუმი.

როცა ორივე საბჭო ერთად შეიკრიბება, იხსნება ფედერალური კრება, თავმჯდომარეობს ამ შეერთებულ კრებას ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე. ამ კრების მიზანია მთავრობის—ფედერალური საბჭოს და მისი საქმეთა მართველის—კანცლერის ამორჩევა, აგრეთვე ამორჩევა ფედერალური სამსჯავროს წევრების და ჯარის მთავარსარდლის. (შევიცარიაში მუდმივი ჯარი არ არის, ხალხის საყოველთაო შეიარაღების სამილიციო სისტემა). ფედერალური კრება სწყვეტს ომისა და ზავის საკითხს.

კონსტიტუციის გადაშინჯვის საქმეში რეფერენდუმი სავალდებულოა.

თუ ერთი ომელიმე საკანონმდებლო საბჭო კონსტიტუციის გადაშინჯვის მომხრეა, ხოლო მეორე წინააღმდეგი ან თუ 50,000

მოქალაქე თხოულობს კონსტიტუციის შეცვლას ორივე შემთხვევაში ხალხმა პირდაპირი კენჭის ყრით უნდა გადასწყვიტოს მოხედეს თუ არ მოხდეს კონსტიტუციის გადაშინჯვა ანუ რევიზია. თუ მოქალაქეთა უმრავლესობა მიეშხომ რევიზიის საჭიროებას, ორივე საბჭო სავსებით ახლდება ამ რევიზიის განსახორციელებლათ. გადაშინჯული ფედერალური კონსტიტუცია თხოულობს ორ უმრავლესობას — მოქალაქეთა და კონტონთა, ე. ი. ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, თუ შვეიცარიის მოქალაქეთა და კანტონთა უმეტესობამ დადასტურა იგი.

რეფერენციუმს გარდა შვეიცარიის ხალხს აქვს ინიციატივის უფლება. როგორც ითქვაზევით, საჭიროა უკანასკნელი 50.000 მოქალაქის წინადაღება, რომ დაისვას საკითხი კონსტიტუციის საერთო თუ ნაწილობრივი გადაშინჯვის შესახებ. უნდა იცოდეთ, რომ ინიციატივის უფლება ხალხს აქვს მხოლოდ კონსტიტუციონურ კანონმდებლობის სფეროში. ხოლო იგი ინიციატივის საშვალებით ჩვეულებრივ კანონებსაც ამჟამავებს, მაგრამ აძლევს მათ ძალა-უნებურათ საკონსტიტუციო ხასიათს, შეაქვს ისინი ძირითად კონსტიტუციაში დამატების ან შენიშვნის სახით. ეს საკონსტიტუციო უფლების თვალსაზრისით ერთგვარი შეუსაბამობაა.

ამ სახით შვეიცარიაში წარმომადგენლო-

პის არჩევის გარდა, ხალხს მუდმივი თანამ-  
შრომლობის უფლება აქვს საკონსტიტუციო  
და საკანონმდებლო ნიადაგზე.

თუ ევროპის სხვა პარლამენტარულ ქვეყ-  
ნებში მოქალაქეს მხოლოდ დეპუტატის არჩე-  
ვის ნება აქვს, ის მხოლოდ ამრჩეველია, შვეი-  
ცარ ელი მოქალაქე პირიქით, ერთსა და იმავე  
ლროს ამრჩეველიც არის, დამფუძნებელიც და  
კანონმდებელიც. შვეიცარიის კონფედერაცი-  
აში ოფფიციუმი და ინიციატივა ფედერა-  
ლურ პოლიტიკურ წყობილებას პირდაპირი  
დემოკრატიის ძალას და მნიშვნელობას აძ-  
ლევს, უპირატესობას ანიჭებს პარლამენტარულ  
დემოკრატიის წინაშე. აქ არის განხორციე-  
ლებული ნამდვილი სუვერენიტეტი ხალხის,  
რომელიც თვითონ კანონმდებლობს, წინააღმ-  
დევ იმ პარლამენტარული ოფეიმისა, სადაც  
ხალხის შაგიერ და მისი სახელით მარტო წარ-  
მოშალგენლობა, პარლამენტი კანონმდებლობს:

აღმასრულებელ ძალა-უფლება ხელში აქვს  
ფედერალურ საბჭოს, შვიდი კაცისაგან შემდ-  
გარს, რომელსაც, როგორც ვთქვით, ირჩევს  
შეერთებული ფედერალური კრება სამის წლით.  
ეს არის შვეიცარიის მთავრობა, რომელიც  
ძალიან განიჩევა პარლამენტარულ სახელმ-  
წიფოთა მთავრობისაგან. მაგ., საფრანგეთის  
მინისტრთა კაბინეტს ადგენს მინისტრ-პრეზი-  
დენტი, იგი პასუხისმგებელია პარლამენტის  
წინაშე, პარლამენტის ნდობა — უნდობლობის

ვოტუზეა დამოკიდებული მთავრობის ხანგრძლივობა და პოლიტიკა.

შვეიცარიის მთავრობის წევრებს კი ირჩევს დიდი, ფედერალური კრება, თვითოვალს ცალ-ცალკე და ერთ დროს. მთავრობა აქ არარის პოლიტიკურათ პასუხისმგებელი არც პარლამენტის წინაშე და არც პრეზიდენტის წინაშე, როგორც ეს ამერიკაშია. ვადის გასვლამდე მთავრობის თუ მისი რომელიმე წევრის გადაყენების უფლება პარლამენტს (ფედერალურ კრებას საერთოთ და თვითოვალ პალატას კერძოთ) არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობის საბჭოს წევრის გადაყენებას მოითხოვს უმაღლესი სასამართლოს განაჩენი.

როგორც ხედავთ შვეიცარიაში პარლამენტი არის, მაგრამ პარლამენტარიზმი არა. იქაური მთავრობის პასუხისმგებლობა არც პოლიტიკურია, არც სოლიდარული. ფედერალური საბჭო უფრო აღმინისტრატორთა, მართველთა კოლეგიას ჰგავს, ვიდრე საფრანგეთის სამინისტროს. იგი სხვადასხვა უწყებათა გამგეების კრებულია, უმაღლეს მოხელეთა აღმასრულებელი დაწესებულებაა და არა პოლიტიკურათ პასუხისმგებელი პარლამენტარული მთავრობა. მთავრობის საბჭოს წევრებს ირჩევენ მათი აღმინისტრატიული ნიჭის და საქმიანობის მიხედვით. შვიდწევროვან საქმიან მთავრობაში პოლიტიკურ შეხედულებათა ერ-

თიანობა არ არის დაცული. იქ ამ მხრით დიდი თავისუფლება და სხვადასხვაობაა. მთავრობა არსებითათ თანამშრომლობითი, კოალიციონურია მუდამ. თავისთავად ცხადია უმრავლესობა მაინც იმ პოლიტიკურ მიმართულების მომხრე და თანამგრძნობელია, რომელიც გაბატონებულია ფედერალურ კრებაში, უფრო კი ნაციონალურ საბჭოში. მაგრამ ეს გარემოება პოლიტიკური ხასიათის შედევებს არასოდეს არ იწვევს. პარტიული სული არ ბატონობს მთავრობაში. მთავრობის წევრნი ხშირათ ვალდებული არიან შეასრულონ ისეთი დადგენილება, რომელსაც შეიძლება არ თანაუგრძნობდენ, შეამუშაონ ისეთი კანონპროექტი, რომლის დიდი წინააღმდეგი იყვნენ და რომლის გასაკრიტიკებლად შეიძლება თვითონ. გამოვიდენ პარლამენტში. ისინი მონაწილეობენ საკანონმდებლო მუშაობაში. სულაც არ არიან ვალდებულნი ყველანი ერთნაირი აზრის იყვნენ ერთსა და იმავე საგანზე. ფედერალურ საბჭოს ხელთ არის აგრეთვე ზოგიერთი სამოსამართლო ფუნქციები.

ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტზე. ასეთი პრეზიდენტი კონფედერაციის ჰყავს. მაგრამ იგი სრულიადაც არ მოგავონებსთ არც საფრანგეთის, არც შ. შესატების რესპუბლიკის პრეზიდენტებს. შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზი-

დენტის უფლებანი მეტათ შეზღუდულია. ის ომგორც კონფედერაციის პრეზიდენტი იმავე დროს მთავრობის, ფედერალური საბჭოს თავმჯდომარეა.

კონფედერაციის პრეზიდენტს და ფედერალურ საბჭოს ვიცე—პრეზიდენტს ყოველწლიურათ ირჩევს ფედერალური კრება საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან. ამნაირათ შვეიცარიის პრეზიდენტი ყოველ წლიურათ იცვლება. პრეზიდენტს აქ განსაკუთრებული პოლიტიკური უპირატესობა არ აქვს. მას არც ვეტო აქვს, არც ვისიმე გაშვება შეუძლია. მისი მდგომარეობა უფრო საპატიოა, ვიდრე განსაკუთრებით უფლობა-მოსილი. იგი მთავრობის საბჭოს პირველი წევრია, მისი თავმჯდომარეა, თანასწორთა შორის პირველია—  
primus inter pares.

მთავრობის საჭოს წევრთა გამოცვლა ისე როგორც პრეზიდენტის ყოველწლიური შეცვლა. თავისთვად არავითარ ცვლილებას არ იწვევს შინაურ და საერთაშორისო ურთიერთობაში, მაშინ როდესაც, მაგალითად, შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის გამოცვლას შესაძლებელია მოყვეს პოლიტიკის მიმართულების ძირითადი ცვლილება და მას ყოველთვის მოდევს ხოლმე მთელი რევოლუცია მთავრობის პირად შემადგენლობაში და აღმინისტრატიულ მართვა-გამგეობის აპარატში. ასეთი ღრმა განსხვავება არსებობს ამ ორ დემოკრატიულ-ფე-

დერატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტთა მდგო-  
მარეობასა და უფლებებს შორის.

„რესპუბლიკის პირველი მაგისტრატი“  
შვეიცარიაში ისე უბრალოდ და უხმაუროთ  
იცვლება, რომ სრულებით არ არყევს, არ  
სცვლის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ურთი-  
ებითობას. ჩვეულებრივ კონფედერაციის პრეზი-  
დენტს, მთავრობის საბჭოს თავმჯდომარეს,  
საგარეო საქმეთა უწყება აბარია და მინდო-  
ბილი აქვს შვეიცარიის ხალხის წარ-  
მომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთო-  
ბაში.

კანტონებში თავთავისი ავტონომიური  
სასამართლოები აქვთ. მაგრამ მათ გარდა არის  
ფედერალური სასამართლო, სამი წლით არ-  
ჩეული ფედერალურ კრებაზე. იგი არჩევს სა-  
კანტონთაშორისო უკავიოფილებას და დავას,  
სახელმწიფო ღალატის ბრალდებას, სამოქა-  
ლაქო და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან  
საქმეებს და სხ. ამასთანავე, როგორც გაკვრით  
უკვე მოვიხსენიეთ ზოგიერთ უმაღლეს სამო-  
სამართლო ფუნქციებს ფედერალური კრება  
და ფედერალური საბჭოც ასრულებს. დღეს  
შვეიცარიაში სისხლის სამართლი და სამოქა-  
ლაქო სამართალი გაერთიანებულია, ფედერა-  
ლურია, წინათ იგი კანტონალური იყო. ფე-  
დერალური დედაქალაქია ბერნი. მიუხედავათ  
ამისა ერთი დიდი ფედერალური დაწესებუ-

ლება-ფედერალური სასამართლო იმყოფება  
ლოზანაში.

კონფედერაციის სფეროში უფლობათა  
დაყოფის პრინციპი არ არის გატარებული ისე,  
როგორც შ. შტატებშია, არც ისეთი დამო-  
კიდებულებაა მათ შორის, როგორც პარლა-  
მენტარიზმის სისტემაშია. კონფედერაცია ამ  
მხრით იძლევა შერეულ ტიპს უფლობათა  
ურთიერთულ განწყობილებისას. ერთი მხრით  
თუ ხალხის პირდაპირ საკანონმდებლო უფლე-  
ბას მივიღებთ მხედველობაში და მეორე მხრით  
პარლამენტის და მთავრობის ურთიერთობას  
გავითვალისწინებთ, შეიძლება შვეიცარიის  
პოლიტიკურ წყობილებაში დავინახოთ უფლე-  
ბათა სუბორდინაცია ან ყველა ძალა-უფლე-  
ბის დამორჩილება საკანონმდებლო ძალა-უფ-  
ლების მიმართ.

შვეიცარიის კონფედერალური რესპუბლიკა  
არც უფლება—განაწევრებული დემოკრატიაა,  
არც პარლამენტარული დემოკრიტია, ივი თა-  
ვის რეფერენდუმით, ინიციატივით და მთელი  
სახელმწიფო აგებულებით არსებითათ პირ-  
დაპირი დემოკრატიაა.

თუ გადავიხედავთ კანტონებში, იქ რაღა  
ოქმა უნდა, უფრო სავსებით არის განხორ-  
ციელებული პირდაპირი დემოკრატია. მაგრა-  
ხარისხი და ტიპი ამ დემოკრატიის განვითარებ  
ბისა ყველგან ერთნაირი არ არის.

კანტონები სხვადასხვანაირია. ზოგან წარმოშადგენლობითი ფორმაა რესპუბლიგის, საღაც პარლამენტთან ერთად მოქმედებს, რეფერენდუმი და ინიციატივა. ზოგან კანტონი იმდენათ პატარაა, რომ მთელი ხალხი ერთად იკრიბება და პირდაპირ, უშუამავლოდ, უპარლამენტოდ კანონმდებლობს და უძლვება თავის სახელმწიფოურ საქმეებს. ამას ჰქვია landsgemeinde.

არის ისეთი კანტონებიც, საღაც ამ სახალხო კრებასთან — ლანდსგემაინდე — ერთად არსებობს წარმოშადგენლობითი საბჭო, რომელიც ირჩევა ხალხისაგან და ამუშავებს კანონპროექტებს პირდაპირ სახალხო კრებისთვის წარსადგენათ და მისაღებათ. ეს საბჭო არსებითად სათათბირო წარმოშადგენლობითი დაწესებულებაა და არა უფლობამოსილი საკანონმდებლო ორგანო.

რეფერენდუმი კანტონებში სხვადასხვაგვარია. უმთავრესათ ორი ფორმაა: სავალდებულო და არა სავალდებულო, ფაკულტატიური რეფერენდუმი.

სავალდებულო რეფერენდუმი საღაც არსებობს, იქ ყველა კანონები შედის ძალაში მხოლოდ ხალხის დადასტურების და დამტკიცების შემდეგ. ხალხის შეკითხვა აუცილებელია. იქ კი, საღაც რეფერენდუმი არასავალდებულო ფაკულტატიურია, პარლამენტში მიღებული კანონი გადაეცემა ხალხს დასადას-

ტურებლათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ  
ამას მოითხოვს პოქალაქეთა განსაზღვრული  
რიცხვი.

ბევრგან მხოლოდ საკონსტიტუციო კა-  
ნონისთვის არის სავალდებულო რეშერენდუმი,  
როგორც ეს კონფედერაციაშია, სხვა კანონე-  
ბისთვის კი მხოლოდ არაა სავალდებულო რე-  
ფერენდუმია. არის ფინანსიური სავალდებულო  
რეფერენდუმი და სხ.

ინიციატივის უფლებაშიაც ვხვდებით სხვა-  
დასხვა ფორმებს. ეს უფლება ზოგან მხოლოდ  
საკონსტიტუციო საკითხებში აქვს ხალხს, ზო-  
გან კი მთელ კანონმდებლობაში.

წარმომადგენლობითი საკანონმდებლო და-  
წესებულება, რომელსაც ჩვეულებრივ დიდ  
საბჭოს უწოდებენ, ყველგან ერთპალატიანია.  
აღმასრულებელ საბჭოს ანუ მთავრობას ზო-  
გან პირდაპირ ირჩევს ხალხი საყოველთაო  
კენჭის ყრით, ზოგან მას დიდი საბჭო ანუ  
საკანონმდებლო ორგანო ირჩევს. მოხელეთა  
უმეტესობას ირჩევენ. ეკლესია სახელმწიფოსაგან  
გამოცალკევებულია.

ამ ნაირათ შვეიცარიის კანტონებში მოი-  
პოვთ ყველა ფორმის დემოკრატია. ხოლო  
ყველა ისინი ისტორიულათ, უფლებრივათ და  
არსებითათ პირდაპირი დემოკრატებია. ასეთია  
შვეიცარია და მისი კანტონები ერთი თვალის  
გადავლებით.

---

